2015 წელს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის მიერ მცენარეთა დაცვის სფეროში

შესრულებული სამუშაოებო

განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების და კოღოს საწინააღმდეგო ქიმიური წამლობები:

- კალიების წინააღმდეგ დამუშავებულია 33427 ჰა ფართობი
- ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ დამუშავდა 498 ჰა ფართობი.
- კოღოების წინააღმდეგ დამუშავდა 3260 ჰა ფართობი

მავნებლების გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი. საერთო ჯამში მხოლოდ კალიების საწინააღმდეგო ღონისძიებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში თავიდან იქნა აცილებული 6 მილიონამდე ლარის ეკონომიკური ზარალი.

საკარანტინო მავნე ორგანიზმების მონიტორინგი:

9 საკარანტინო მავნე ორგანიზმის გავრცელების დასადგენად აღებულია 365 ნიმუში.

3 შემთხვევაში აჭარის რეგიონში გამოვლინდა კარტოფილის საკარანტინო ორგანიზმი

- კარტოფილის კიბო

პესტიციდების ხარისხის კონტროლი:

ლაბორატორიაში საანალიზოდ აღებულია 170 ნიმუში.

პესტიციდების სარეალიზაციო ქსელში აღმოჩენილი დარღვევისათვის დაჯარიმდა 6 მეწარმე, პესტიციდების ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოკვლევისას უარყოფითი ლაბორატორიული შედეგის საფუძველზე დაჯარიმდა 2 მეწარმე.

ბაზარზე განთავსებული პესტიციდების და აგროქიმიკატების ნიმუშის აღება და ხარისხის ლაბორატორიული შემოწმება უზრუნველყოფს ფალსიფიცირებული, მოძველებული და უხარისხო პრეპარატებით რეალიზაციას. ასევე ხდება მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, მაღალი და უვნებელი მოსავლის მიღება.